№ 255. 3 დეკემბერი, ოთხშაბათი. 1866 — 1880 3 დეკემბერი. ოთხშაბათი. № 255

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

ბ-ლ ბეგოვინის ბრანსპექტზე, თ. ივ. კ. შუხრანსკის სახლში., კლუბის ქვეშოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებაში“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ადგილებისთვის: Въ Тифлисѣ, въ редакціи „Дроэба“ и „Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

„დროება“ „ივერია“ ერთად.	13 მან.	7 მან.	4 მ.
„დროებაში“	9 მან.	5 მან.	3 მ.
„ივერიაში“	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკე

ალგინაშეარი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

არწრუნის თეატრში

ოთხშაბათს, 3 დეკემბერს

ბენეფისი

ნ. თოდაშვილისა

ქართულ ტრუპისაგან წარმოიდგინება

I

ეჭვით ავათმყოფი

ქომედია 3 მოქმედებად, მოლიერისა ფრანცუზ. გადმოთ. ი. მაჩაბლისაგან.

II

ცელქები

ხუმრობა — ვოდევილი 1 მოქმედებად.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და ალნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

კეტაუნი, 1 დეკემ. ლერიბსკის ოდქში მდგომა ფურაჟირების გუნდი ნოემბრის ოც-და-რვას იძულებული იყო უკან დაეწია; მტრებმა მოუკლეს ცამეტი კაცი.

პეტერბურღი, 28 ნოემ. პეტერბურღში დაიჭირეს შესამჩნევი პოლიტიკური დამნაშავე სოციალისტების დასისა, სამსახურიდამ გამოსული პორუჩიკი პოლეგანოვი.

«დროების» ფელეტონი, 3 დეკემბერს

ბრას შარპ

ალფრედ ასოლანის მოთხრობა.

(ნათარგმნი ფრანცუზულიდამ.)

სწორი მეორე

თავი V

ჯიმ არმსტრონგ

დიდი ბუტბუტი და არეულება შეიქნა ხალხში, როცა პოლიციელები და მსაჯული დაინახეს. მოშორებით ვინც იდგნენ, ვერ გაიგეს მსაჯულის განკარგულება, რომ ჩემი ქალი წაეყვანათ საპყრობილეში და ეკონათ, რომ მეც უნდა წავეყვანეთ.

დაიწყეს ყვირილი:

— ძირს (დაიკარგონ) მსაჯული და პოლიციელები!

ბევრმა დაიმკლავეს და დადგნენ უკან ჩემს დასაცველათ; ამათ რიცხვში

კეტერბურღის ბირჟა, 27 ნოემბერს.

(„ხალხთასაშორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი ვამოცემისა	— — 95	— 37
მეორესი	— — — — — 92	— 62
მესამესი	— — — — — 93	— 37
მეოთხესი	— — — — — 92	— 87
აღმოსავლეთის პირვ.	— — 90	— 87
აღმოსავლეთის მეორე	— 90	— 87
აღმოსავლეთის მესამე	— 90	— 87
ოქრო, ½ იმპერიალი	— — 7	— 96

თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — „ — „

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— — 225	— 25
მეორე სესხის	— — — 218	— 25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— — 24	— 65 პენსი
ბამბურღი	— — 209	— 75 ცენტი
პარიჟი	— — — 269	— 15 სანტიმი
ვენა	— — — 129	— 50 პფენიგი
ქავკასიის კერასინი	— — —	

თფილისის სახელოსნო სასწავლებელზედ.

ტფილისი, 2 დეკემბერს.

წელს, 1 ოკტომბერს, ჩვენს ქალაქში გაიხსნა სახელოსნო სასწავლებელი, რომლის მიზანი არის, როგორცა სჩანს ამ სასწავლებლის წესდებიდამ, გაავრცელოს ჩვენს ხალხში ევროპიული ხელოსნობის ცოდნა.

მართლა და თანა-მედროვე განათლებული ქვეყნების ხელოსნობა ისეთს ხარისხზედ სდგას, რომ მის რიგიანად შესწავლას და გადმოღებას არა მცირედი გონებითი განვითარება უნდა მეცნიერების თავ-და-პირველი საგნებისა სწავლებით. ევროპიულიწესით წაყვანილი არც ერთი სახელოსნო ოსტატობა არ შეიძლება, პირველ-დაწყებითი გეომეტრიისა, გეომეტრიული ხაზვისა და არითმეტიკის მკვიდრად შეუსწავლებლად. ამ საგნების შესწავლას კიდევ უნდა განვითარებული ცოდნა იმ ენისა, რომელზედაც ისწავლებიან ეს საგნები. ერთის სიტყვით, თვით ხელოსნობის პრაქტიკული საჭიროება მოითხოვს მეცნიერების შესწავლას. ნუღარ ვიტყვით, რომ კაცობრიობის დაწინაურების გულისათვის გონებისა და ზნეობის გამომზდელი სკოლა უზენაესს საჭიროებას შეადგენს ხალხისათვის.

ქალაქის ბამგეობა დიდათ გონიერად მოიქცა, როცა სახელოსნო სასწავლებელში საგნების შესწავლა დაუწესა ხალხის სამშობლო ენაზედ. მან გაიგო და შეითვისა ის პედაგოგიური ჭეშმარიტება, რომ ყოველი სწავლა უნდა იყოს სამშობლო ენაზედ, რომ უცხო ენაზედ სწავლება ტყუილად დროს აკარგვინებს მოსწავლეს, ჰბადებს კლასში უნებურს ზიზღს მისთვის გაუგებრად ნასწავლებს მეცნიერებისადმი. როდესაც სწავლა უცხო ენაზედ მიდის, მოსწავლეს თვით შესასწავლი საგანი კი არ აბრკოლებს თავდა-პირველად, არამედ გაუგებარს ენაზედ ნათქვამი აზრის შეტყობა: მისი გონება ენის გაუგებრობას ებრძვის და არა თვით სწავლის შეთვისებას, და რა გასაკვირველია, რომ ამ ნაირს სკოლაში სწავლა უკანასკნელს მდგომარეობაში იყოს.

ხელოსნის შვილს არა აქვს იმდენი დრო, რომ უცხო ენის გრამმატიკის შესწავლას უმსხვერპლოს რამდენიმე წელიწადი. მისთვის უპირველესი საჭიროება გონების გახსნაა და მეცნიერებიდამ პრაქტიკულად საჭირო ცოდნის მიღება.

ქალაქის ბამგეობისათვის არ ჩაუვლია უნაყოფოდ იმ გულ-მომაკვდინებელს მდგომარეობას, რომელშიაც ჩაცვინული არიან ჩვენი ხალხის შვილები სახელმწიფო სასწავლებლებში. ცხრა-მეათედი ჩვენის ყმაწვილებისა იძულებულნი არიან დაანებონ სწავლ ს თავი, რადგანაც, რუსული ენის საფუძვლიანად უცოდინარობის გამო, ისინი ვერ სწავლობენ ამ ენაზედ მოძღვანილს საგნებს.

როცა ქალაქმა თვისი მოწადინებით და თვისი საკუთარი ხარჯით გახსნა სკოლა, მან თავის უპირველესს მოვალეობად შერაცხა აეცდინა თავის შვილებისათვის ის შავი ბედი, რომელიც მათ მიყენებული აქვსთ სახელმწიფო სასწავლებლებში.

საუბედუროდ, ქალაქში ეხლა გავრცელდა ხმა, რომ, სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის თაოსნობით, რამდენიმე წევრი იმ სასწავლებლის კომიტეტისა აგულიანებენ ქალაქის ხმოსნებს მოაპობინონ შემდეგში საგნების სწავლება ამ სკოლაში

პირველი ადგილა ეჭირათ ჩემს უფროსს შვილებს.

ჩემს შვილებს შუა იყო ერთი საშინელი ღონიერი მეომარი. ეს იყო უბრალო ფერმერი, რომელიც სცხოვრობდა თხუთმეტ ვერსზე პეტერბორუღიდამ, ტყიან ადგილში. ამისი სახელი იყო ჯიმ არმსტრონგ. საშინელი ღონიერი და მოსული კაცი იყო. მთელ ხარს მოიკიდებდა ხოლმე ზურგზე და ბაზარში წაიღებდა.

დღეს ჩამოეტანა იმას სამი ურემი ფქვილი და ფიცრები პეტერბორუგში; როცა გაყიდა და აპირებდა ვახშმის ჭამას, ამ დროს მოესმა ორი დამბაჩის ხმა, რომელიც ბრასმა ისროლა. დაინახა, რომ ჩემი შვილები მორბოდნენ კაპიტანის ბილის სახლისკენ, ისიც გამოექანა კეტით ხელში.

როდესაც დაინახა, რომ ჩემს ქალს მოჰკიდა ხელი ვიღაც პოლიციელმა, დაიყვირა:

— ბაუშვი ხელი, ოორემ თავს გაგიხეთქ!

პოლიციელს შეეშინდა და მოიხმო მეორე პოლიციელები და უთხრა:

— ჯიმ არმსტრონგ შენ ძალიან ღონიერი ხარ, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა სცე პატივი კანონს.

— თქვენ კი, უპასუხა ჯიმმა, თქვენ უნდა სცეთ პატივი ლამაზს ქალებს, მეტათ თუ ის ქალი ეკუთვნის ჩვენს პატივ-საცემ მოძღვარს შარპს.

ამაზე ყველამ წამოიყვირეს:

— დიახ, დიახ, ღმერთმა ხანგრძლივი სიცოცხლე მისცეს შარპს! დაიკარგონ მსაჯული და პოლიციელები!

მსაჯული შეკრთა. ადრე ეს იყო პატიოსანი მეწვრიმალე, რომელიც კაპიტანის შემწეობით დანიშნეს მსაჯულათ. ამას გარდა ის იყო კაპიტანის მამულის მმართველი და ამის შემწეობით გამდიდრდა.

როგორც შეეტყო, რომ კაპიტანს ამისთანა საქმე უყვეს, გამოქცეულიყო; არც კი მოეკრიფა სუყველა თავისი პოლიციელი; ეგონა, რომ ერთი-ორი პირის მეტი არ იქნებოდა აქ. მე და ჩემი ქალი რო დაგვინახა, ცოტა არ იყო შეკრთა; მაგრამ როცა არმსტრონგი და ამოდენა ხალხი დაინახა, რომელიც ჩემ მხრით იყვნენ, მაშინ კი შეინანა მოსვლა აქ და მომმართა მე:

— დოქტორ შარპ, თქვენ მოგეხსენებათ კაცობრიობის კანონი; ჩემი მოვალეობაა ავასრულო ეს კანონები ისე, როგორც თქვენა სცემთ პატივს ღვთიურ კანონებსა. იმედი მაქვს, რომ თქვენ შემეწევით ამ შემთხვევაში...

სიტყვები აერია. მე ვერაფერი ვუპასუხე. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: რა უნდა მეთქვა? ბანა უნდა დამენებებინა ჩემი ქალი, რომ ციხეში წაეყვანათ?

შევსცქეროდი ჩემს ქალს. ერთის მხრით ჩემზე იყო დაბჯენილი და მეორე მკლავი პოლიციელს ეჭირა. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფეთა სამშობლო ენაზედ და სწავლა რუსულად დააწესონ.

რა საბუთები მოაქვს ამ პირთ თავის განზრახვისათვის—ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით... მა კი ბეჯითად შეგვიტყვია, რომ ამ სასწავლებელს მრავალი მტერი ჰყავს აქაურს ოფიციალურს პედაგოგთა შორის, რომელნიც დაუწყნარებლად მეცადინობენ ძირი მოუთხარონ მას საზოგადოების თვალში... იმათ ვერ აუტანიათ, რომ ამ სკოლამ ზიზღით უარჰყო მათი მოსწავლეთა გონების დამამხობელი არა—პედაგოგიური დედაზრები შესახებ სამშობლო ენისა. მათის სიტყვით, ეს სკოლა „სინაგოგა“ არის.

მკითხველს კარგათ ეხსომება ამ წინაზედ გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი და „დროებისაგან“ ღირსეულად შემკობილი მოწინავე სტატია. მოგაგონდებათ—რა სიამაყით და რა დაცინვით იხსენებდა „კავკაზი“ ქალაქის ბამგეობისაგან სახელოსნო სკოლისათვის შერდგენილს წესდებას!..

ქალაქის ბამგეობას სწორედ თავის შესარცხვენად უნდა მიაჩნდეს, თუ რომ ოფიციალურთ პედაგოგებს და გაზეთს „კავკაზში“ შეხიზნულ ჩინოვნიკებს რამე გავლენა ექმნებათ რჩევის წევრების თუნდ უმცირესს ნაწილზედაც.

დარწმუნებული ვართ, ქალაქის რჩევა ღირსეულად დაუხვდება ამ წინადადებას, თუ რომ მან მიაღწია მისდამი; დარწმუნებული ვართ აგრეთვე, რომ ქალაქის ხმოსნების ერთ-ხმოვანი გაკიცხვა იქმნება ჯილდოთ ამ ნაირი გაიძვერა მეცადინეობისა.

ო. ა.

ახალი ამბები

ამ უკანასკნელს დროს კიდევ შემდეგ პატივცემულმა პირებმა შესწირეს რამთენიმე ქართულს ენაზედ წიგნები მეტეხის პატიმარების ბიბლიოთეკას: იმერეთის ეპისკოპოზმა ბაბრიელმა 10 წიგნი, ალექსანდრე ეპისკოპოზმაც 10 წიგნი; ბ. ს. ი. ლ. 10 წიგნი რუსულ ენაზედ.

ამას გარდა ჩვენ შევიტყეთ, რომ მეტეხის სატუსაღო ბიბლიოთეკის საქმეში დიდი თანაგრძნობა -აღმოუჩენია ქავკასიის ცენზურის კომიტეტს; ეს თანაგრძნობა აღმოუჩენია 200 წიგნების შეწირვითა, რუსულს, ქართულს და სომხურს ენაზედა.

* * *

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია ხელმწიფე იმპერატორს უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც მომავალ 1881 წელს 1 იანვრიდამ რუსეთში მოისპობა მარილი აქციზი (ბაჟი). შინანსის მინისტრს მინდობილი აქვს ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, ოლქის სასამართლო მოწმეებისა და თვითონ ბრალდებულს კ. ღვინიაშვილს ჩვენებით დარწმუნდაო, რომ მ. ასათიანის მოკვლის დროს ეს ბრალდებული სრულს ჭკუაზედ არ ყოფილაო და ამის გამო სასამართლომ შეაჩერა ამ საქმის წარმოება და გამოძიების შესავსებად ისევ პროკურორს გარდასცაო.

* * *

ამ მოკლე ხანში თფილისში, სემიონოვის ქუჩაზე, ძუკიაში, ახვერდოვის სახლებში გაიხსნა ახალი კერძო საავათმყოფო ბ. პაველევსკის და ზოგიერთ სხვა დოქტორების თაოსნობით.

ავათმყოფებს ამ საავათმყოფოში მიიღებენ მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ და საღამოს 5-დამ 6-მდინ. დეჟურნ ექიმად საავათმყოფოში არის მუდამ დოქტორი ნავასარტიანცი.

* * *

ჩვენ მივიღეთ ფოთიდამ შემდეგი ახალი ამბავი:

„დღეს, დილის ექვს საათზედ, გაჩნდა ცეცხლი ვაგზალის მახლობლად: დაიწვა ხის მაღაზია და ორი ათას ფუთამდე მარილი; ორივე ეკუთვნის სტეფინ მირიანოვს; საზღვევში არ ყოფილა შეტანილი.

„ცეცხლის გაჩენის მიზეზი ის ყოფილა, რომ რკინის გზის ნახშირი ჰყრია გარეშემო ამ მაღაზიისა, ნაშხირს გასჩენია ცეცხლი, თურმე სამი დღე ჩუმათ იწვის, დღეს მიახლოვებია ხსენებულს შენობასა და კიდეც იშსხვერპლა.

„ცეცხლის მახლობლად არის სტეფანე ღამბაროვის ხის მაღაზიები საქონლის დასაწყობი, არტილერიის ნივთებით და სხვა დასხვა პირებისა სამსე; ძალიან შიშს ქვეშ იყო ხსენებული მაღაზიები; მაგრამ მადლობის ღირსნი არიან არტილერიის სალდათები, პოლიციის დესიატნიკები და მცხოვრებნი, რომ დაუზარებლივ ცდილობდნენ გადარჩენასა და კიდევაც გადაარჩინეს ამისთანა საშინელს აღმოსავლეთის ქარში, საზოგადოთ ფოთის მცხოვრებნი ამისთანა დროს დახმარებაში ისე დაუზარებელნი და დახელოვნებულნი არიან, რომ არც ერთს ცეცხლის საქროზ კამანდას არ შეუძლიან ამათსავით გულმოდგინეა. ხშირათ მინახავს წარსულს წლებში, ცეცხლის მახლობლათ ერთს საჭენზედ ხის შენობა გადურჩენიათ...“

* * *

ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ აქაურ სასულიერო სასწავლებლის საქმე ძალიან ცუდს მდგომარეობაში არისო, სახლიც ცუდი არის სასწავლებლისათვის და თვით სწავლაც ისევერ მიდის, როგორც რიგიანა.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

ახალციხე, 28 ნოემ. ყველა სახალხო საქმე, რაც უნდა იყოს თუ თვითონ ხალხი არ თანაუგრძნობს, მოკლე დღისა და უსაფუძვლო საქმე იქნება. რაც უნდა ძალ-დატანებით უნდა შემოიღოთ ხალხში რაიმე ახალი წესიერება; რაც უნდა ძალა დაატანოთ, რომ ხალხმა თქვენს სტვირზე ითამაშოს, თქვენს აზრებს დაემორჩილოს, მაინც არაფერი არ გამოვა: ხალხის უთანაუგრნობოთ ყველა ახალი შემოღებულებანი უსაფუძვლოა.

ამ ცხოვრების კანონს ყოველგან ერთი თვისება აქვს. კარგა ხანია ახალციხეში გაიხსნა საქალებო სკოლა, მაგრამ ხალხმა კი არ გახსნა, ერთი პატიოსანი მანდილოსანის მეცადინეობით ეს საქმე შეხორციელდა და დაიდგა საძირკველი ქვიშასა ზედა...

სკოლა გაიხსნა, პაწაწა ქალებიც სწავლობდნენ. სწავლა რიგზე მიდიოდა. მაგრამ ხალხი კი სხვა თვალით უყურებდა ამ სასწაელებელს. ვერ თანაუგრძნეს, ივინი არ უყურებდნენ, როგორც წმიდა ტაძარს განათლებისას, არამედ უყურებდნენ, როგორც რაიმე ახალი „მოდის“ საგანს. ამიტომაც ამ სასწავლებლის კეთილ-დღეობა და ხანგრძლივი სიცოცხლე საეჭვო იყო.

რა მიზეზია, რომ ახალ-ციხის ქართველები გულ-გრილათ უყურებენ ამ სასწავლებელს? რისაგან არის, რომ საქართველოში ყველა გვარს, სომეხს, თუ ქართველს სწავლა-განათლების საქმე პირველ საგნათ მიაჩნია და არ ზოგავს არაფითარს ღონისძიებას ამ საქმისათვის. მაგრამ ფრანგის ქართველებში კი ეს უსაჭიროესი საგანი იჩაგრება? ახალ-ციხე საქართველოში

ცოდავი ცხარე ცრემლით სტიროდა და ვერაფერს ვერ ამბობდა. ბადავხედე იქ მყოფს ხალხს.

ერთბაშათ არმსტრონგმა გადმოხედა ჩემს საცოდავ ქალს, წამოდგა წინ და სთქვა:

— ბატონო მსაჯულო, რადგან დოქტორ შარპს პირი წყლით სავსე აქვს თევზსავით და ვერაფერს ვერ ამბობს და მისს შვილებსაც მამის პატივისცემით ვერაფერი გაუბედნიათ, ამიტომ მე მოგცემთ ყველასთვინ სასიამოვნო რჩევას...

მსაჯულმა გააწყვეტინა:

— დაფიქრებით ილაპარაკეთ, ბ. არმსტრონგ და მასაჩუსეტის კანონების წინააღმდეგი არაფერი არა სთქვათ.

— ბ. მსაჯულო, უპასუხა ამაზე არმსტონგმა, თუ რამე ესთქვა წინააღმდეგი, თქვენ შეგიძლიათ გამაწყვეტინოთ სიტყვა და მე დაგემორჩილებით და მანამ კი ნება მომეცით წამოვსთქვა თავისუფლათ ჩემი აზრი.

ერთმისი სიტყვები დიდის აღტაცებით მიიღო ხალხმა და ერთ-ხმათ დაიყვირეს:

— ბრავო, ჯიმ! პირი წყლით არა აქვს სავსე ამ კაცს!

მარტო მსაჯული შესწუხდა და არ უნდოდა ლაპარაკის გაგრძელება რომ კაპიტანის წინააღმდეგი არაფერი ეთქვათ და უპასუხა:

— ესლა ძალიან დაგვიანებულია. ხვალისთვის გადავდოთ საქმე.

ხალხმა დიდი უკმაყოფილება გამოაცხადა. ჯერ ცხრა საათი არ იყო. ყველანი თავისუფალნი იყვნენ. მეორე დღეს დილით ყველას თავ-თავისი კერძო საქმეები ექნებათ. თუმცა მსაჯული კაპიტან ვილის სასარგებლოთ და სასიამოვნოთ ცდილობდა მეორე დღისთვის გადედვა საქმე, მაგრამ ჯიმი არ მოეშვა და სთქვა:

— ექვსი თვეა, რაც ქვრივი ვარ. სამი წვრილი ბოვშვი დავტოვე წისქვილში მოხუცებული დედის მზრუნველობის ქვეშ; მაგრამ მაინც აქედამ არ დავიძვრი, სანამ არ გამიკითხავთ ბრას შარპს სუყველაფერს დაწვრილებით. ამას გარდა, ალბათ მიზეზი იყო და ვილი ღირსი იყო, რომ ამისთანა ლამაზმა და კარგმა ქალმა ესროლა იმას დამბაჩა...

ამ უკანასკნელ სიტყვებზე ხალხმა დაიყვირა:

— დიახ, დიახ! ძირს ვილი! ბაუმარჯოს ბრას შარპს!

როცა მსაჯულმა დაინახა, რომ ყველანი ჯიმის თანახმა იყვნენ, სთქვა:

— რადგან თქვენ ყველას გნებავსთ და არც ეწინააღმდეგება ჩვენს კანონებს, წავიყვანოთ ბრას შარპი ეკლესიაში, ყველანი დაესწარით და ჩამოვართვათ ჩვენება.

ამ დასკვნამ აღტაცებაში მოიყვანა ხალხი.

თავი VI.

ჩვენების ჩამართმეგა.

კონგრეგაციის ეკლესია ერთი გვქონდა პეტერბორუგში. კარგი, დიდი შენობა იყო, რომელიც ხუთას კაცს მაინც დაიტევდა. ამ ეკლესიაში პირველი პასტორი მე ვიყავი: ჯერ გარეთი კედლები არ იყო შესრულებული, შიგნითი მოწყობილება კი ჩემი რჩევით იყო გაკეთებული და იმისთანა სითბო იყო ხოლმე, რომ არც ერთს არ შეეშინდებოდა გაციებისა.

როცა მსაჯული და ხალხი შევედით ეკლესიაში, ამ ეკლესიის ყურის მგდებელი ქალები ვახშამს იმზადებდნენ და მთელი ზალა გაეთბოთ.

მსაჯული დაჯდა ჩემს კათედრაზე. ჩემი ქალი ორ პოლიციელ შუა ჩაჯდა მსაჯულის მახლობლათ. მეც ჩემის ქალის უკან დავჯექი, რომ გამემხნევებინა, რადგანაც საშინლათ მებრალებოდა.

ყველანი რო დასხდნენ და სიჩუმე ჩამოვარდა, მსაჯულმა იკითხა:

— ვინ არის მოჩივარი?

არავინ პასუხი არ გასცა. მსაჯულ-

ფრანგების დედა-ქალაქია; მაგრამ სწავლა-განათლების საქმე არსად ისე არ იტანჯება, როგორც აქა. ამის მიზეზი არის სამღვდელოების მძიმე ხელი, რომელიც აძევს ფრანგების საბრალო თავზე და რომელიც თავის აჩრდილში ინახავს ამთონს ფანატიკობით დაბრმავებულს ხალხს! ამათი, ესე იგი, სამღვდელოების წყალობით, არა თუ სწავლა-განათლების საქმე იჩაგვრება, არამედ თვით ხალხსინობაც დაკარგულია და ყველა ხალხის გონების გახსნის, წარმატების საქმისადმი იმათგან კარი დაკეტილია! ამ სიტყვებს იმ კაცისაგან გაიგონებთ, ვინც ამ პირებთან ახლო ყოფილან და იცან კარგათ საქმის გარემოება.

ქველამ ვიცით, თუ რა გავლენა აქვს ფრანგების სამღვდელოებას ხალხზედა. სულ რომ აღიწეროს თუ რა გავლენა აქვსთ იმათ, რას უქადაგებენ მათ და რა ნაირათ თვალს უხვევენ მორს წავა; სჯობია დავანებოთ ამას თავი.

ბავლილათ მე ერთი ორი სიტყვა წარმოვსთქვი ახალ-ციხის საქალებო სასწავლებელზე „დროებაში“ (№ 185) არ ვიცი სადილის მაძღარის, თუ შუალამის შემდეგ, ან ნამძინარევს წაუკითხავს ბატ. ა. მ—ს ჩემი „გოდება“, როგორც თვითონ იძახის ახალ-ციხეზე ისე ყურადღებით, რომ ბავრელი ბრეგმელათ მოსჩვენებია და ავი კარგათ, კარგი ავათ.

ბ. ბრეგმელი სარგებელსაც ჰხედავს სკოლის დახურვაშიო“—ამბობს ბ. ა. მ. („დროება“, № 19). ძალა და ღონე იყოს წმიდა ჯვრისა შენთანა! ბანა მე მაგას ვამბობდი? ბანა ახლა იპოვება იმისთანა ახალგაზდა უგუნური, რომელიც სარგებელს ხედავდეს მაგისთანა კეთილი საქმის დაბრკოლებაში? ბანა ჩემი „გოდება“ იმ აზრისა იყო? ჩემი გოდება ბ. ა. მ—ს სხვაფრად მოსმენია. მაინც ბ. ა. მ. მადლობის ღირსია, რომ „დროებაში“ გადმოგვიშალა ახალ-ციხის საქალებო სკოლის გარემოება და ახალ-ციხელების პირ-თეთრაობა ამისთანა შემთხვევაში.

ხედავთ, ახალ-ციხელო ქართველებო? არა გცხვენიათ? თქვენც ერთი ქალაქი ხართ! თქვენც ქუდები გხურავთ! არ წითლდებით, რომ ერთადერთი სასწავლებლის შენახვა გიჭირდებათ? სამღვდელოებაზედ არას ვიტყვი, რადგან იმათ დიდიხანია შავი ჩადრით აქვს მოფარული სახე,— თქვენ რაღას ამბობთ, ახალ-ციხის ინტელენგენციავ-ჩინოვნიკობავ? სოფლის მებატონეობა, რისაგან იყო, რომ იმ მანდილოსანის დროს რაღაც მანქანაებით ჩნდებოდა ფულები და ახლა—არა? „წეერთაგან რა ყოფით 70 მანეთი შემოვიდაო“, ამბობს ბ. ა. მ. რა დაგემართათ? ვიღაც უაზარა-მაზარა-მეზურნების საჩუქრად შეეერცხლებული დუდუკისთვის ფულები გაქვსთ და კეთილი საქმისათვის არა! რაღაც ბულბულებისთვის გაქვსთ და სასწავლებლისთვის—არა! ღმერთმა კიდეე ნუ მოგცემსთ, თუ ხალხის და მამულისთვის დაზოგავთ...

ადვილი გზა გვიპოვია, რაც არა მგონია „წერა-კითხვის ვამაერცელებელს საზოგადოებას“ მივანდობთ ხოლმე. უბედო ჰატარძალივით რომელს ერთს ყური უგდოს? არა მგონია იმ საზოგადოებას იმდენი ღონისძიება ჰქონდეს, რომ ყველას უთხრას: „აჰა, შენც, შენც და შენც, ყოველს“!..

ბავრელი.

უცხოეთი

წვრილი ამბები. საბერძნეთის მეფეს უთქვამს ელჩებისათვის, რომ მე მხოლოდ გაზაფხულამდი შემიძლია მოუცადო ეპირის და თესალიის მშვიდობიანად გადმოცემასაო. თუ მარტამდი არ გადმოგცემენ ამ ოლქებს მაშინ იძულებული ვიქნები ომი დავიწყო რუსმალეთთანო. ამასვე მოითხოვს ხალხს აღელვებული მდგომარეობა და შეიარაღებული მშვიდობიანობის სიძნელე სახელმწიფოების ფინანსებისათვის. მეფის აზრით მარტო ომიანობას შეუძლია საბერძნეთს ააცილოს მინაური არეულობა და ეხლანდელის მეფის გვარის ჩაკოგდება ტახტიდამ.

—

სტამბოლიდამ ჩეხურს გაზეთში სწერენ: ნამდვილად შეიტყვე, რომ რუსმალეთის მმართებლობა ცდილობს 200,000—მდე ჯარი მოაგროვოს მარტამდი საბერძნეთის საზღვარზე. ამით ის იმედოვნებს ერთის შეტევით დაამარცხოს ბერძნები და მზად დახვდეს ყოველს მოულოდნელს შემთხვევას.

—

პარიჟიდამ იწერებიან: თითქმის ყველა სახელმწიფოებმა, რომელთაც კი ხელი მოაწერეს ბერლინის ხელშეკრულობას ბოლგარიის ზამთარეროს მოსთხოვეს ეხლა, რომ განსაზღვრულ დროამდე დაანგრიოს დუნაის ციხეები.

—

სტამბოლიდამ იწერებიან, რუსმალეთი ცდილობს როგორმე შემატოს სახელმწიფო შემოსავალს და ამ აზრით აპირებს დამოჟნის გადასახადის მომატებას და აგრეთვე ბაჟის დადებას იმპერიიდამ გასატანს თამბაქოზეო.

თფილისის სამკურნალო

ავთმოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღეგის პირველ საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი **გავრონსკი**—ქალის ავთმოფობისა, **ლისიცევი**—შიგნეულების ავთმოფობის, **როტინიანცი**—ქალისა და უმაწვილების ავთმფ., **ქიუჩარიანცი**—სირურგიულ და თვალის ავთმოფობისა.

სამშაბათს: ექ. **მინკევიჩი** — სირურგიულ ავთმოფ., **ჟურავლევი**—ვენერიულ და კანის ავთმოფ., **რეისი**—თვალისა, **ბაბოვი**—გულისა და შინაგანის ავთმოფ., **ბახუტოვი**— ბებიობის, ქალისა და უმაწვილის ავთმოფ., **ვერმიშევი**—შინაგანის ავთმოფობის.

ოთხშაბათს: **გავრონსკი**—ქალის ავთმოფ., **ლისიცევი** და **რუდკოვსკი**—შინაგანი ავთმოფ., **ასტვაცატუროვი**—ალის, **შტემბორსკი**—ვენერიულ და კანის, **ბოტერანტოვი**—გულის.

ხუთშაბათს: **ჟურავლევი**—ყელის და გულის ტკივილის, **როტინიანცი** ქალისა და უმაწვილის ავთმფ., **ქიუჩარიანცი** — ვენერიულ და სასქ�ავთმოფობის ავთმოფ., **ვერმიშევი** — შინაგანი ავთმოფობისათვის.

პარასკევს: **გავრონსკი** — ქალის ავთმოფობის, **მინკევიჩი** — სირურგიულის, **ლისიცევი**—შიგნეულის, **ბახუტოვი**—ბებიობის, ქალისა და უმაწვილების **ბაბოვი**—ნერვების ‡ შიგნეულების, **ასტვაცატუროვი**—ვენერიულ და კანის, **შტემბორსკი** — ვენერიულ და კანის ავთმოფობისათვის.

შაბათს: **ჟურავლევი**—ვენერიულ და კანის ავთმოფობისა, **რეისი**—თვალის **ბაბოვი**—გულისა და შიგნეულების და **ვერმიშევი** — შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი **ბ ა ბ ა ე ვ ი** მუქთად სწამლობს ღარიბ ავთმოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავთმოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ **სამკურნალოშივე.**

ბ ი ლ ი ს ექიმი **ო ბ რ ე ს ტ ი** ავთმოფებს, ვისაც **სამკურნალოდამ** ქალალდი ეძლება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (**გოლოვინის** პროსპეკ., **ზარაფოვის** სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ **11-მდინ სამკურნალოშია** ბრის ბებია ავთმოფი **ქალებისათვის.**

მა გაიმეორა თავისი კითხვა; მაგრამ არც ახლა არავინ იღებდა ხმას. ბილი არ მოსულიყო ყველანი-მოუთმენლათ მოელოდნენ გაეგონათ ეს ტრაგიკური ისტორია. ზოგიერთმა ბუტბუტი დაიწყო.

მსაჯულმა ჩაიგდო დრო, წამოდგა და სთქვა:

— არავინ არის მოჩივარი. არც არავის არ სდომებია მოკვლა. გრას შარპ თქვენ თავისუფალი ხართ. წავიდეთ და მოვისვენოთ ჩვენ ჩვენთვის.

მეც წამოვდეგი ჩემის მხრით და მინდოდა წამეყვანა ჩემი ქალი. ამ დროს წამოდგა წინ ერთი მოხუცებული გამხმარი დედა-კაცი და სთქვა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ გრასს უნდოდა კაპიტან ბილიამ ქრანბიურის მოკვლა. ამის მოწამე მე თვითონ ვიყავი. სწორეთ იმ დროს შევალე მე კარები და საჭმელი მივართვი ჩემს ბატონს. მე თითონ გავიქეცი მსაჯულთან და შევატყობინე ეს გარემოება...

დედა კაცმა შენიშნა, რომ მსაჯული გულ-გრილათ ეკიდება საქმეს და მთელ პეტერბორუგის ხალხს ჩემი გრასის მხარე უჭირავს, და დაუმატა:

— ბატონი მსაჯული რომ რიგიანად ასრულებდეს თავის მოვალეობას ხვალვე უნდა ჩამოახრჩობინოს ამისთანა უნამუსო ქალი...

— შენ,—გაწყვეტინა ხმა არმსტრონგმა, რომელიც პირველი დამცველი იყო გრასისა, — შენ ბებერო კუდრო! მართალია, მსაჯული რომ ასრულებდეს თავის მოვალეობას, როგორც შენ ამბობ, ოც-დაოთხ საათში უნდა დაგწვას!... ცეცხლის ასანთობ შეშას ყველაზე პირველათ მე მოვიტანდი.

ქველამ სიცილი დაიწყო და ყოველ მხრიდამ ყვიროდნენ:

— ბაუმარჯოს ჯიმს!

როგორც წინათ მოგახსენეთ მსაჯულს ფორტესკიუს ემინოდა კაპიტანის წინააღმდეგობით დაეკარგა ისიც ადგილი.

მსაჯულმა ხალხი გააჩუმა და სთქვა:

— მე ავასრულებ ჩემს მოვალეობას და თქვენც აასრულეთ არმსტრონგ და რომელიც თქვენ ორში გამტყუნდება, თხუთმეტი დღით ჩავსვამ ციხეში. რადგანაც გამამტყუნებელი და ბრალდებული აქ არიან, ამისთვის მოვიხმოთ კაპიტანი ბილი, რომელიც უმთავრესი მოწმეა ამ საქმეში და შეუდგეთ საქმეს.

დიახ, დიახ! მოიყვანინეთ ჩვენი კეთილი ბილი, წამოიყვირეს რამდენიმე პირებმა. ის ღირსეულათ დაიცვეს თავის თავს.

ორმოცი-და-ათ კაცამდინ გამოვიდნენ გარეთ; არც კი მოუცადეს პოლიციელებს, უნდოდათ, თუ ნებით არა, ძალით მოეყვანათ. ამათი მოთავე იყო არმსტრონგი.

ბასვლის დროს არმსტრონგმა მოიკიდა მე ხელი და ჩემს ქალს ჩაუჩურჩულა:

— ნუ გეშინიან, გრას! სანამ მე ცოცხალი ვარ შენს, ხელის ხლებას და შეურაცხ-ყოფას ვერავინ გაბედავს და თუ გაბედა კიდეც ვინმემ, ნაკუწნაკუწათ ვაქცევ.

ათი მინუტის განმავალობაში დაბრუნდა უკან ეს ხალხი და მოიყვანეს ბილი. ცუდ მდგომარეობაში იყო ეს თავ-მომწონე და მშვენიერი ყმაწვილი. ჭუდი და ტანისამოსი დაგლეჯილი, ტალახში და სისხლში ამოსვრილი.

— აი, სთქვა ღონიერმა ჯიმმა, ხელი ჰკრა კაპიტანს და წამოაყენა მსაჯულის წინ.

(გაგრძელება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

—

ᲢᲐᲥᲪᲘᲐ

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით ერთის თვისკენ-მავლობაში, 1 ნოემბრიდამ 1 ქრისტეშობისთვემდინ.

ᲑᲐᲛᲝᲛᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲞᲣᲠᲘ: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის — 1 გირვ. 5½ კ.
მეორის „ — 1 გირ. 4½

იმავე ფქვილიდამ თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის — 1 გირვ. 6½ კ.
მეორის „ — 1 გირ. 5

ᲯᲘᲕᲐᲠᲘᲡ-ᲛᲐᲛᲘᲡ ᲞᲣᲠᲘ:

პირველის ხარის. ლავაში 1 ვირ. 7½
მეორის „ „ 1 გირ. 6 კ.
მესამის „ „ 1 გირ. 5½

ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ:

პირველის ხარისხის — 1 გირ. 10 კ.
მეორის „ — 1 გირ. 8.
სუკი — 1 გირ. 16
ᲡᲮᲕᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ 1 გირ. 10
ᲗᲮᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ — 1 გირ. 7
ᲚᲝᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ — 1 გირ. 11 კ.

ᲔᲡ ᲢᲐᲥᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲐᲥᲕᲡᲗ ᲮᲝᲠᲐᲒᲘ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲐᲓ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ-ᲠᲐ,

ამაზედ შეიძლება დარწმუნდეს ყველა ინგლისის მაღაზიაში, ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲚᲔᲠᲘᲐᲨᲘ, სადაც მიღებულია დიდძალი **ᲩᲐᲘ** 1 მოკრებისა, შოკოლადი, კაკაო ᲤᲠᲔᲘᲡᲐ და სხვა საქონელი: ქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის; ხველების კანფეთები და სხვ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ დანა-ჩანგალი, ახალის სისტემის თოფები და სხვ. 15—2

ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

ისყიდება ექიმის ᲕᲖᲝᲠᲝᲕᲘᲡ აგარა. მსურველთ სთხოვენ შომართონ პირდა-პირ აგარის პატრონს წერილით ანუ პირადად. 3—2

ᲤᲗᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

(ᲑᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ ᲑᲐᲚᲗᲐᲜ, ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲨᲘ.)

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝ 1881 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝ-ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲔᲑᲖᲔ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ: ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲖᲔ, ᲠᲣᲡᲣᲚᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲕᲐᲠ — ᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡᲐᲖᲔ.

Ბ.Ბ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲗ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲜᲔᲑᲝᲜ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲐ: **Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.** (25—14)

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ

რადგან ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲔᲣᲚᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡ თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი — 2 მან. ᲘᲥᲕᲔ ისყიდება 5,000 ფადნოსი და გასაღებები 8 კაპ., ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ რევოლვერი 4 მანეთიდამ 35 მანეთამდინ, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. დუჟინი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ.

10—2

ᲘᲡᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲗᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲝᲜ-ᲛᲣᲨᲐᲜᲘ ᲛᲐᲙ-ᲘᲐᲡ-ᲤᲘᲠᲘ

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან.. გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ᲨᲝᲛᲐᲓᲐ თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სᲩᲝᲢᲙᲔᲑᲘ თავის ტკივილის მოსასᲬᲝᲑᲚᲐᲓ, ᲢᲣᲐᲚᲔᲢᲘᲡ საᲬᲝᲜᲘ, დუხები და სხვ.

(150—16)

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲚᲐᲠᲘᲜ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲡ აქვს პატივი აუწყოს ბ.ბ. წევრთა ამა საზოგადოებისა, რომ საზოგადო კრება დანიშნულია ამ წლის 7 დეკემბერს ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ პროგიმნაზიის შენობაში 10 სათზე დილით.

საზოგადო კრებაში შემდეგი საგნები იქნებიან გასახილავნი:

1) განხილვა წლიური ანგარიშისა.

2) წაკითხულ იქნება ამა წლის საზოგადოების მოქმედების აწერა.

3) არჩევა გამგეობის კომიტეტის წევრთა.

4) არჩევა სარევიზიო კომიტეტის წევრთა.

5) განხილვა ზომათა და წინადადებათა საუმჯობესოდ მისაღწევად საზოგადოების მიზნისადმი.

6) განხილვა გამგეობის კომიტეტის წინადადებისა შესაცვლელად და დასამტკიცებლად ზოგიერთ §§ საზოგადოების წესდებისა.

8) დადგენა საზოგადო ერთ ნაირი ვადისა საზოგადოების წევრთათვის წლიური ხვედრის ფულის შესატანად.

8) განხილვა გამგეობის კომიტეტის ინსტრუქციისა. (3—2)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲕᲔᲚ-ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲕᲘᲡ

ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

ᲘᲦᲔᲑᲔᲜ საკერავს დასაᲭᲠᲔᲚᲐᲓ, დასანიშნად და შესაკერავად საქალებო სხვა-და-სხვა ტანსაცმელებს; ᲘᲥᲕᲔ ᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲖᲝᲛᲘᲗ ᲐᲨᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ სხვა-და-სხვა მოდის ფასონების თარგებს (ᲕᲘᲖᲠᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ძალიან ხელ-მისაცემ ფასად. ᲕᲘᲡᲐᲪ ᲭᲠᲘᲡᲐ და დასანიშნის (სმიტკა) შესწავლა სურს უახლესს მეთოდით სკოლაში ხაზვითა, იმას საგანგებოთ დანიშნულ დროზედ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ამ მეთოდს. ᲤᲣᲚᲘᲡ სრული შემოსავალი სკოლის გასაუმჯობესებლად გადიდება. ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ამბავი შეიტყობა სკოლაში ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ ქუᲩᲐᲖᲔ, სახლი № 33. (3—3)

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲓᲐᲛ, 27 ნოემბრიდამ **ᲯᲐᲜᲯᲣᲚᲐᲖᲝᲕᲔᲑᲘᲡ** მაღაზიაში დაიწყება გასყიდვა კაცების და ქალების **ᲤᲔᲮ - ᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲚᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ** ნამდვილს ფასზე დაკლებით; ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ (ᲢᲝᲠᲒᲘ) არ იქნება. მსყიდველებს შეუძლიანთ ამოირჩიონ და გასინჯონ ფეხ-საცმელი.

ᲘᲥᲕᲔ ისყიდება სხვა-და-სხვა ღვინოები და ᲕᲝᲓᲙᲔᲑᲘ, დანიშნულის ფასით. 5—4

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ

ᲚᲣᲙᲐ ᲘᲐᲒᲝᲠᲘᲩ ᲠᲣᲮᲐᲫᲘᲡᲐ

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1880 წლის ნოემბრის 20 დღიდგან ვიღებ **Ქ. ᲤᲝᲢᲘᲨᲘ ᲙᲐᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲡ** ჩემი მაღაზიის მეორე ეტაჟაში, ზევით და იმედნეული ვარ არ დამტოვებთ უყურადღებოთ, რადგან ვიღებ ჩემს თავზედ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ყოველ გვარ საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისას ნაკლები კამისიით.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ საქმეებს აწარმოებს მოსე ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ძე ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, რომლისგანაც მსურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა. **Ლ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ.**

5—5

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი. თმის გასამაგრებელი

ᲛᲐᲙ - ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘ

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ** ეს წამალი ეᲦᲚᲐ 2 მანეთად ღირს.

(100—83)

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲒᲝᲠᲘᲡ სამაზრო დამხმოგველი საზოგადოება უმორჩილესად სთხოვს იმ პირთ, რომელნიც ამ საზოგადოების წევრად ᲩᲐᲬᲔᲠᲜᲔᲑᲘᲗ და წელსაც ᲛᲡᲣᲠᲗ წევრობა, თავიანთი საწევრო ᲬᲚᲘᲡ ფული წარუდგინონ საზოგადოების წევრ-დამფუძნებელს თ. რევაზ შალვას ᲫᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲡ, რომელიც ᲒᲝᲠᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ. 5—6

ᲙᲐᲢᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲩᲝᲢᲙᲔᲑᲘ

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხვნებისათვის 1 მ. 75-დამ; ᲔᲕᲐᲒᲔᲚᲔᲑᲘ სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძეგე 30 კაპ.; რუმეგები 5 კ.-დამ; ᲤᲘᲚᲢᲠᲔᲑᲘ (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ᲒᲔᲓᲠᲔᲑᲘ 1 მან-დამ; თოფეები ᲛᲘᲜᲓᲐᲛᲘᲜᲓᲣᲠ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ᲕᲣᲗᲘ და სხვ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. (100—85)

ᲕᲠᲐᲕᲐᲜᲡᲙᲘᲡ ᲖᲔᲗᲘᲡ

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ Ს. Მ. ᲛᲚᲔᲑᲠᲝᲕᲘᲡᲐ

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ახალ ფაბრიკაში ვაკეთებული **ᲕᲠᲐᲕᲐᲜᲡᲙᲘᲡ** ᲖᲔᲗᲘ ᲤᲣᲗᲘ 16 მანეთად ისყიდება, ადგილობრივი, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲖᲔᲗᲘ კი ᲤᲣᲗᲘ 12 მანეთად. ᲬᲔᲠᲘᲛᲐᲚᲐᲓ ᲖᲔᲗᲘ ისყიდება ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲘᲡ ქუᲩᲐᲖᲔ, ᲨᲐᲙᲘᲔᲕᲘᲡ მაღაზიაში, ღენ. ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲝᲕᲘᲡ სახლებში, და ნარდათ, პარტიობით კი მღებროვის საკუთარს მამულში ᲛᲠᲔᲕᲜᲘᲡ ქუᲩᲐᲖᲔ, სახლის № 16.

ᲕᲘᲜᲪ ქალაქს გარეშე ადგილებიდამ დაიბარებს ამ ᲖᲔᲗᲘ, მოთხოვნიბას მსწრაფლად და ᲑᲔᲯᲘᲗᲐᲓ შეუსრულებთ. ᲕᲘᲜᲪ ნარდათ, პარტიობით ისყიდის ᲑᲚᲝᲛᲐᲓ, იმათ 10% დაეთმობა 100 მანეთის საქონელზე.

ᲐᲛᲐᲡ გარდა აქვე ისყიდება **ᲙᲐᲞᲢᲝᲚᲘ**, ᲖᲔᲗᲘᲡ ნახადი, რომელიც ასუქებს ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠ ᲨᲘᲜᲐᲣᲠ საქონელს, ᲤᲣᲗᲘ 1 მან. (5—5)

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲗᲔᲕᲖᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ მეიდანზედ ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲝᲕᲘᲡ ქარვასლის ლომების ქვეშ აღმოსავლეთის მხრით, გენერალი ᲢᲔᲠ-ᲐᲡᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘᲡ სახლების პირ-და-პირ, სადაც ისყიდება პარტიობით და წერილად ახალ-ახალი ხიზილალა და ᲭᲘᲓᲙᲐ; აგრეთვე ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲒᲕᲐᲠᲘ თევზეული ახალი და ᲮᲛᲔᲚᲘ, რომლებიც მოსდის მაღაზიას სალიანიდამ და იმის გარეშემო ვათაგებიდამ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ აღნიშნულ მაღაზიას.

5—4

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Maison de confiance

შეადგენენ ᲬᲧᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ — 1 მ. 10 კ. ᲛᲝᲮᲩᲝᲒᲝᲡ ᲬᲘᲜᲐ — 1 მ. 40 კ.

— — — 1 — 20 — — 1 — 60
— — — 1 — 40 — — 1 — 80
— — — 1 — 60 — — 2 — „
— — — 1 — 80 — — 2 — 50
საუკეთესო — 2 — „ — — 3 — „

ᲘᲥᲕᲔ ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ᲭᲣᲠᲭᲔᲚᲘ, ᲩᲐᲘᲓᲜᲔᲑᲘ, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაᲛᲨᲢᲔᲑᲘ, კალმები, ქალალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მᲣᲠᲐᲛᲔᲑᲘ, მაგნეზია, ᲣᲜᲐᲒᲘᲠᲘᲔᲑᲘ, კლეიონკა, წინდები — კაცის და ქალის, ᲮᲔᲚ-ᲡᲐᲮᲝᲪᲔᲑᲘ, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ 25-დამ 50 პროცენტით ᲣᲤᲠᲝ ᲘᲐᲤᲐᲓ, ᲕᲘᲓᲠᲔ სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ᲕᲘᲜᲪ ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გა) მოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—60)

Дозволено цензурою. Тифлисъ 2 Декабря 1880 г. Типографія Меликова ᲑᲐᲛᲝᲛᲪ. Ს.ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ· ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.